სოციალ-დემოკრატები
საქართველოს განვითარებისთვის

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის**

**პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსს**

**ბატონ ბესიკ ქოჩიაშვილს**

ბატონო ბესიკ,

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პარტია ყოველი წლის 1 თებერვლამდე სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უგზავნის გასული წლის საფინანსო დეკლარაციას აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) დასკვნასთან ერთად.

„პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ" სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2021 წლის 5 აგვისტოს #012036/21 ბრძანების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად:

„პარტია გასული წლის საფინანსო დეკლარაციას აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) დასკვნასთან ერთად სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უგზავნის ყოველი წლის 1 თებერვლამდე. იმ პარტიას, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 10 000 (ათი ათასი) ლარს, უფლება აქვს წარადგინოს წლიური საფინანსო დეკლარაცია აუდიტორული დასკვნის გარეშე, ხოლო ფინანსური ბრუნვის არარსებობის შემთხვევაში – მხოლოდ წერილობითი განცხადება."

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას - „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის" გასულ 2021 წელს არ ჰქონია ფინანსური ბრუნვა.

**პატივისცემით,**

**მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების**
**„სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის"**

**თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი**

**ეკა ლეკაშვილი**

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
№ 72/09
"13" 01 2022
1 ფ.
* 01 *